



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის,
საქმის განხილვის ვადის გაგრძელების, მესამე პირის ჩაბმისა და
მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ

18 მაისი, 2020 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგია

მოსამართლე - ლეილა გოგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელები - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“, გიგა ჩოხელი

მოპასუხეები - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის
სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად
ცნობა

სასამართლომ გამოარკვია:

2020 წლის 14 აპრილს ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივისა“ და გიგა ჩოხელის წარმომადგენელმა სარჩელით მომართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვეს:

1) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანება ჟინვალის - ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი - კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ,

2) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს 2020 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება (ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს, გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივარი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 აპრილის განჩინებით სარჩელზე დადგენილი იქნა ხარვეზი, რაც მოსარჩელეთა მიერ აღმოფხვრილი იქნა 2020 წლის 13 მაისს წარმოდგენილი განცხადებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების მოთხოვნებს, ამ ეტაპზე სარჩელის დასაშვებობა საეჭვოდ არ არის მიჩნეული, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეზე განმწესრიგებელი სხდომის დანიშვნის საჭიროება. შესაბამისად, სარჩელი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული და დასაშვებად ცნობილი.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების გათვალისწინებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციიდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ამ ფაქტობრივი გარემოებების გამოყენებამდე და მტკიცებულებების შემოწმებამდე წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები მათ თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასაპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 200 ლარით, რაც არ ათავისუფლებს მას მტკიცებულებათა შემდგომში წარდგენის ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს წარდგინებით სასამართლოში მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიზეზების დადგენისა და შესაბამისი თანამდებობის პირის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი უნდა იქნეს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან დამატებითი მტკიცებულებების სახით გამოთხოვილი უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების (ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი) მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს, გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივარი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სასამართლოს განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოში მესამე პირების აუცილებელ მიწვევას, რომელიც სავალდებულოა იმ შემთხვევაში თუ მოსაწვევი მესამე პირი სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში იმ ხარისხით მონაწილეობს, რომ მასთან მიმართებაში მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმული უნდა იქნეს **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**, ვინაიდან მოსარცელეები ითხოვენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვის ვადა უნდა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, მე-17, მე-19, მე-20, 22-ე-25-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 178-ე, 201-ე, 205-ე, 284-ე-285-ე, 414-ე, 445-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ და გიგა ჩოხელის სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნეს ცნობილი;
2. მოპასუხეებს გაეგზავნოთ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები საქართველოს სსკ-ის 70-78-ე მუხლების შესაბამისად და შესაგებლის წარმოდგენის ვადა განესაზღვროთ 14 დღით (ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) შესაგებელი უნდა უპასუხებდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;
3. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაევალოს, **განჩინების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტ) დღეში** სასამართლოს წარმოუდგინოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რაც საფუძვლად დაედო სადავო ადმინისტრაციული აქტების გამოცემას;
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალოს, **განჩინების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტ) დღეში** სასამართლოს წარმოუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების (ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტი) მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს, გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივარი სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის;

5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, N3/2647-20 ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
6. N3/2647-20 ადმინისტრაციული საქმის მასალები გადაეგზავნოს საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ პირებს;
7. საქმის განხილვის ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთ) თვემდე;
8. განჩინება მესამე პირის ცაბმის ნაწილში (მე-5 პუნქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქმეში მესამე პირად ჩაბმული პირის მიერ კერძო საჩივრით 12 (თორმეტი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე ქ.თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6 კმ.);
9. დანარჩენ ნაწილში განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე

ლეილა გოგიშვილი